

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 4 8 1

ქ. ბათუმი, 03 ივლისი 2015 წ

სამშენებლო დოკუმენტის პროექტის ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში უსასყიდლოდ მიღების (ჩუქების) შესახებ

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „BWC“-მ 2015 წლის 25 ივნისს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მომართა №2193/01 წერილით, რომელშიც აღნიშნავს, რომ უსასყიდლოდ, ჩუქების ფორმით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს გადასცემს 6 მაისის პარკში I კლასის საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტის (ფანჩატურის) სამშენებლო დოკუმენტის პროექტს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 111-ე მუხლის „დ“ პუნქტის და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 524-530-ე მუხლების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში უსასყიდლოდ, ჩუქების ფორმით მიღებულ იქნას შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „BWC“-ს მიერ შემუშავებული, 5000 (ხუთი ათასი) ლარის ღირებულების, 6 მაისის პარკში I კლასის საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტის (ფანჩატურის) სამშენებლო დოკუმენტის პროექტი.

2. დაევალოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატს წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქონების გადმოცემის მიზნით შესაბამისი ხელშეკრულების მომზადება.

3. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის ქონების მართვისა და განკარგვის განყოფილების უფროსს რეზო ხახვას მიენიჭოს წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქონების გადმოცემის ხელშეკრულებაზე და მიღება-ჩაბარების აქტზე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სახელით ხელმოწერის უფლებამოსილება.

4. წინამდებარე ბრძანების შესახებ ეცნობოს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „BWC“-ს, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. ბრძანება გამოქვეყნდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბაგრატ მანველიძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი, მერის მ/შ